ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 3
22/01/2016

3-08-4-201601221708

განკარგულება

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კოხნარის ადმინისტრაციული ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული შენობა-ნაგებობის უძრავი ქონების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოწერისა და მისი შემდგომი დემონტაჟის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 2015 წლის 31 აგვისტოს N31 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ბალანსიდან ქონების ჩამოწერის წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართი N3 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესი“-ს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კოხნარის ადმინისტრაციული ერთეულში

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული შენობა-ნაგებობის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოწერა და დემონტაჟი დანართის შესაბამისად.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა